ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3761078

ნომერი: AR1565420

თარიღი : 18.12.2017

გაცემის თარიღი : 29.12.2017

გაცნობის თარიღი : 29.12.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 44 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 42 ; ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი,ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ.; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 46 ; ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N38ბ ; ქალაქი თბილისი , თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N50 ; ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა , N 50ა ; ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N48ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 38 ; ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N38გ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 40 ; ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N38ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ჩიქვინიძე პ/ნ 01026001804
- თბილისი ბახტრიონის ქ. კორ. 1 ბ. 51

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა, თქვენი 2017 წლის 18 დეკემბრის AR1565420 განცხადება, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებას.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 19 ნოემბრის N 01/1625 ბრძანებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის - ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N 8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 23-ე სეკუნდა მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, დამტკიცებული რეგულირების გეგმის მოქმედების ვადაა 5 წელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2008 წლის 19 ნოემბრის N 01/1625 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა წარმოადგენს ძალადაკარგულ აქტს, შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მოამზადოს საკითხი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.